საქართველოს ფინანსური მონიტორინგის
სამსახური

0105, თბილისი,
სანაპიროს ქ. N2
ტელ./ფაქსი: 229 67 00
ელ. ფოსტა: info@fms.gov.ge
კოდი: 204447330

Financial Monitoring Service
of Georgia

Sanapiro Str. 2
Tbilisi 0105
Tel./Fax: 229 67 00
E-mail: info@fms.gov.ge
Code: 204447330

89-01-2-201602111601

N 01/89 11/02/2016

ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტის დირექტორს,
ბატონ გიორგი კლდიაშვილს

ბატონო გიორგი,

თქვენი, მიმდინარე წლის 4 თებერვლის, წერილის პასუხად, გაცნობებთ, რომ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური მიესალმება პროექტის „ღია მონაცემები: ცვლილებებისა და ინოვაციების წყარო“ განხორციელებას, რომელიც მიზნად ისახავდა საჯარო ინფორმაციაზე საზოგადოების ხელმისაწვდომობის ზრდას. სამსახური, ასევე, გამოთქვამს სსიპ - მონაცემთა დაცვის სააგენტოსთან თანამშრომლობის მზადყოფნას საქართველოს მთავრობის №557 დადგენილებით დამტკიცებული „ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის“ ფარგლებში შექმნილი „ღია მონაცემების პორტალის“ (www.data.gov.ge) განვითარების მიზნით. ამასთან, IDFI-ს 2015 წლის კვლევაში „ღია მონაცემების ხელმისაწვდომობა საქართველოში“ იდენტიფიცირებული, „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგებების თაობაზე მიღებული ანგარიშგებების სტატისტიკა წარმოდგენილია სამსახურის ყოველწლიურ ანგარიშებში, რომლებიც მის ოფიციალურ ვებ-გვერდზეა (www.fms.gov.ge) განთავსებული. ამავე ვებ-გვერდზეა გამოქვეყნებული მონიტორინგის განმახორციელებელი პირების სია ყველასთვის ხელმისაწვდომ და ადვილად დამუშავებად ფორმატში. თუმცა, ზემოაღნიშნული სია არ წარმოადგენს მონიტორინგის განმახორციელებელი პირების

სახელწოდებათა ან მათ შესახებ სხვა ინფორმაციის შემცველ ფორმალურ ან ოფიციალურ ჩანაწერს და ამდენად, ვერ ჩაითვლება რეესტრად „ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის „თ“ ქვეპუნქტის მნიშვნელობით.

პატივისცემით,

მიხეილ როინიშვილი

სამსახურის უფროსი

სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური